

## ს.ს. “საქართველოს ბანკის” აქციონერთა საყურადღებოდ!

2008 წლის 22 თებერვალს დაგეგმილ აქციონერთა საერთო კრებაზე განსახილებული ს.ს. “საქართველოს ბანკის” წესდებაში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები და შესწორებები:

მუხლი / პუნქტი	ცვლილების ზასიათი	შენიშვნა
8.10	<p>არსებული ტექსტი ითვალისწინებს, რომ თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე არ იქნება ქვორუმი, მაშინ მომდევნო სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მიუხედავად დამსწრე / წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ოდენობისა.</p> <p>წესდების ახალი რედაქციით, თუ პირველ სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭო არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილების მისაღებად, მომდევნო სხდომაზე ქვორუმი შედგება, თუ სხდომას დაქსწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 25% მაინც. თუ მეორე სხდომაც არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილების მისაღებად, სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და მოწვეულ უნდა იქნას აქციონერთა საერთო კრება</p>	<p>ცვლილებები შეტანილია “მეწარმეთა შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად</p>

დამატებითი განმარტებების მისაღებად, გთხოვთ, წერილობითი ფორმით მიმართოთ ს.ს. “საქართველოს ბანკის” სათაო ოფისში ინვესტორებთან ურთიერთობების დეპარტამენტს 2008 წლის 12 თებერვლამდე.